

ქართულიდან ნასესხები ლექსიკის ადაპტაციისათვის ჰინუხურ ენაში¹

ავტორი: ნოდარ არდოტელი

არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო),

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ელფოსტა: nodariardoteli@gmail.com

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ქართულიდან ჰინუხურ ენაში ნასესხები ლექსიკა და დადგენილია ამ ნასესხობათა კანონზომიერებანი. გარკვეულია, რომ ისტორიულად საკვლევ ენებს (resp. ხალხებს) ერთმანეთთან ჰქონდათ მჭიდრო კონტაქტები, რაც ცხადყოფილია ძველი თუ ახალი ლექსიკური ნასესხობებით. შესასწავლ ენათა და დიალექტთა მონაცემების მაქსიმალური გათვალისწინებით, გამოკვლევაში ნაჩვენებია სესხების გზები და შესაბამისი სტრუქტურულ-სემანტიკური ადაპტაციის საკითხები. წარმოდგენილია მარტივ ლექსიკურ ნასესხობათა რელატიური ქრონოლოგიის დადგენის ცდა და ნაჩვენებია შესაბამისი სიტყვათა სტრუქტურულ-სემანტიკური ადაპტაციის თავისებურებანი.

საკვანძო სიტყვები: არეალური ლინგვისტიკა, ფონეტიკური ადაპტაცია, სესხება, ენობრივი კონტაქტი

შესავალი

დიდოელი ხალხების ქართულ სამყაროსთან მეზობლობა ათეულ საუკუნეებს ითვლის. განსაკუთრებით, ეს ითქმის ქართველი ხალხის (კახელების, თუშების) ჰინუხელებთან მრავალსაუკუნოვან მეზობლობასა და სხვადასხვაგვარ მჭიდრო ისტორიულ კონტაქტებზე, რაც სარკისებურად აირეკლა ლექსიკურ შეხვედრებში. არეალური ენობრივი გავლენები ნასესხობების სახით ვლინდება, ზოგადად, დაღესტნურ, ხოლო, კონკრეტულად, ჰინუხურ ენაში. ამის ნათელი დასტურია ის ენობრივი ელემენტები, რომლებიც ქართული ენიდან უხვად არის შესული, ზოგადად, დიდოურ ენათა სინამდვილეში, კონკრეტულად კი, ხელშესახებია საკვლევ ენაშიც.

ქართული ენიდან ლექსიკური მასალის სესხება-გავრცელების, ფონეტიკური ადაპტაციისა და სემანტიკური გადააზრიანების თავისებურებათა შესახებ ზოგი რამ ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდანაც (ჩიქობავა 1987: 7-11; გუდავა 1954: 701-708; ბოკარევი 1959: 113, 227; ხალილოვი 2004...).

ამჯერად ჩვენი დაინტერესების საგანს წარმოადგენს იმის გარკვევა, არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ისტორიულად არსებულ ენობრივ კონტაქტებს რა სახის გავლენა მოუხდენია, ზოგადად, ქართულ და ჰინუხურ ენათა ლექსიკურ მარაგზე. კერძოდ, კავკასიოლოგიაში უკვე განხილული ლექსიკური შეხვედრების გვერდით შესაძლებელია თუ არა ახალი ნასესხობების გამოვლენა და მათი სათანადო ინტერპრეტაცია. ამასთან, საინტერესოა ნასესხობათა მიმართულების დადგენისა და ეტიმოლოგიის გარკვევის საკითხებიც. გარდა ამისა, დასადგენია მარტივ ლექსიკურ ნასესხობათა რელატიური ქრონოლოგია და შესაბამისი სტრუქტურულ-სემანტიკური ადაპტაციის საკითხები, რომლებიც საკვლევ ენებში ჯეროვნად

არ არის შესწავლილი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნასესხები ლექსიკის განხილვისას ვიყენებთ **დესკრიპციულ, შეპირისპირებით და ისტორიულ-შედარებით** მეთოდებს. ამასთან ერთად, ისტორიული და ეთნოლინგვისტური ასპექტების თანმიმდევრული გათვალისწინებაც აუცილებელია.

ცხადია, ჩვენს ხელთ არსებული ლინგვისტური მასალის ანალიზისა და სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი დებულებების ურთიერთშეჯერება გარკვეული წესების ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, გამოიყოფა ექვსი წესი (ზვიადაური [არდო-ტელი] 1997: 97; შდრ. გუდავა 1954: 701). საკვლევ ენებში შესაბამისი ლექსიკური ერთეული:

1. უცხოენოვანი წყაროდან მომდინარეობს: ქართ. **კატა**, ჰინ. **კეტუ** (შდრ. რუს. **кот**, ინგლ. **cat**, გერ. **die Katze...**) ‘კატა’;
2. გენეზისურად საერთო წარმომავლობისა ჩანს: ს.-ქართვ. ***ძარ** ‘ყინვა’ : ს.-დად. ***ცორ** ‘ზამთარი’, ‘სიცივე’;
3. ერთი ენიდან მეორეში არის შეთვისებული: ჰინ. **უჟი** ‘ვაჟი’ > ქართ. **ვაჟი** ‘id.’;
4. სიტყვა-ფორმათა მსგავსება შემთხვევითია: ლათ. **tibi** (მიც.), შდრ. ჰინ. **დებე-ზ** (მიც.) ‘შენ’;
5. ფორმოზომიერ მსგავსება ბგერწერითი ხასიათისაა: ქართ. **ყვა-ვი**, შდრ. ჰინ. **ღვა-დი** ‘ყვავი’;
6. უკუსესხების შედეგია: ხუნდ. **ხინკ** (მრ. **ხინკალ**) > ქართ. **ხინკალ-ი** > ჰინ. **ხინკალ** (შდრ. **ხინკ** ‘გარზანა’, **ხოკო** ‘ხინკალი, პელმენი’) ‘ხინკალი’ და მისთ.

ქართულ-ჰინუხურ ლექსიკურ შეხვედრებზე დაკვირვებისას თვალშისაცემია ქართულ ნასესხობათა სიუხვე, რაც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია (ბოკარევი 1959: 113, 227). რაც შეეხება ჰინუხური ენიდან შეთვისებულ სიტყვათა რიცხვს, იგი შედარებით მცირეა. ეს შეპირობებული უნდა ყოფილიყო შემდეგი გარემოებებით: ა) ჰინუხური ენა ძირითადად მოკლებული იყო ქართულთან უშუალო კავშირ-ურთიერთობას, ან ეს ურთიერთობა სპორადულ ხასიათს ატარებდა; ბ) პატრიარქალური ყოფა, უპირატესად დამყარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ტრადიციულ ფორმებზე, აპირობებდა ერთგვარ კარჩაკეტილ ცხოვრებას და ხელს უწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის გარესამყაროსაგან მოწყვეტას; გ) ქორწინების შიდაეთნიკური ენდოგამიური ფორმები უარყოფითად აისახებოდა სხვა ხალხებთან ურთიერთობაზე და ანელებდა ლექსიკური სესხების პროცესებს; დ) მცირერიცხოვნობა, რაც სესხების ნაკლებმასშტაბურობას უწყობდა ხელს და ა. შ.

ძირითადი ნაწილი

ირკვევა, რომ ჰინუხური ენა მეტწილად სხვა დიდოური და ხუნძური ენების მეშვეობით უკავშირდებოდა წყარო-ენას, ამიტომ მასში ნასესხობათა რიცხვი, საკუთრივ დიდოურ და ბეჟიტურ ენებთან შედარებით, ნაკლებია. ქართული ნასესხობანი ჰინუხურში შესული ჩანს სამი გზით: ა) დიდოური ენის მეშვეობით, ბ) ხუნძური ენის გზით და გ) საკვლევ ენათა უშუალო კავშირ-ურთიერთობით.

(ა) დიდოური ენით გაშუამავლებულ ნასესხობათა სტრუქტურაში გვხვდება ამ უკანასკნელი ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, მაგ.: **არხი** (შდრ. საკ. დიდ. ‘id.’) ‘არხი’, **ჭაჭა** (შდრ. საკ. დიდ. ‘id.’) ‘თვითნახადი არაყი, ჭაჭა’, **ჟამი** (შდრ. საკ. დიდ. ‘id.’) ‘ჯამი’, **ჟანღი** (შდრ. საკ. დიდ. ‘id.’) ‘თრთვილი, ჯანღი’, **გუთან** 1. ‘კავი’. 2. ‘სახნისი’, **ჩითი** (შდრ. საკ. დიდ. ‘id.’, ხუნდ. ჩით ‘id.’) ‘ჩითი’, **თუფი** (შდრ. საკ. დიდ. ‘id.’) ‘თოფი’ და მრ. სხვ.

(ბ) ხუნძური ენის გზით შეთვისებულ ლექსიკაში თვალნათლივ დაჩნდება სტრუქტურული ნიშნები და სემანტიკური ნიუანსები, რომლებიც ამ ენისთვის არის ნიშანდობლივი, მაგ.: **ლავაშ** 'ქართული ლავაში', **ვაქილ** 'წარმომადგენელი, დელეგატი', **ჭაბასი** 'ოცკაპიკიანი, აბაზი', **აბდალ** 'სულელი, ბრიყვი', **ბურაჟ** 'ბურაო, ბურღი', **ფანდურ** 'ფანდური', **ჟაირან** 'ჯეირანი', **ლოთი** (შდრ. ხუნძ. 'id.') 'ლოთი'...;

(გ) წყარო-ენიდან უშუალოდ ნასესხებ მასალაში ძირითადად დაცულია სახელობითი ბრუნვის ნიშანი. როგორც წესი, ჰინუხური ენაში **ძ** და **ჯ** არ გვხვდება და ისინი იცვლება სათანადო ლოკალური რიგის სპირანტებით (**ძ** > **ზ**, **ჯ** > **ჟ**), მაგ.: ქართ. ძაბრი > ჰინ. ზაბრუ, ქართ. ჯაგი > ჰინ. ჟაგი. ამასთან, რიგ შემთხვევაში სახელს შეიძლება სახელობითის ნიშანი არც ახლდეს, ან ხმოვანფუძიანი იყოს, მაგ.: **გალავან** (შდრ. ხუნძ. **გალან** 'id.') 'ზღუდე, გალავანი', **თუფლი**//**თუპლი** 'ტუფლი', **ჭანწილ** 'ანწილ', **ცეკე** 'ციკანი', **ჩოჩხალა** 'ჩურჩხელა' და მისთ.

შესაძლოა აღმოსავლური ენებიდან (არაბული, თურქული...) ნასესხები ლექსემები ქართულის ან ხუნძურის გზითაც იყოს შესული, რასაც მათი სტრუქტურა მიგვანიშნებს: **მარალ** (ხუნძ.)//**მარალი** (<ქართ. <თურქ.) 'იარალი', **თუფ**//**თუფი**//**თუბი** (<ქართ. 'თოფი' <თურქ. **top** 'ზარბაზანი') 'თოფი' და მისთ.

რელატიური ქრონოლოგიის თვალსაზრისით, ზოგი ლექსიკური ერთეული ძველი ნასესხობა ჩანს, ხოლო ზოგი ლექსემა მოგვიანო ხანისა უნდა იყოს. უდამწერლობო ენათათვის ნასესხობათა ქრონოლოგიის დადგენა რთულია, თუმცა შეიძლება ზოგი მოსაზრების გამოთქმა. ძველი უნდა იყოს ის ნასესხობანი, რომლებიც უკავშირდებიან ქრისტიანულ ტერმინოლოგიას², ან ძველებური საბრძოლო თუ სამუშაო იარაღის სახელებს, ანდა გამოხატავენ მცენარეულობის და ცხოველების სახელწოდებებს, მაგ.: **საყდარი** 'ეკლესია', **ღურდელი** 'მღვდელი', **ამინ** 'ამინ, ჭემმარიტად', **კორკოტი** 'სიმინდის ბურღული', **მარალ** 'იარალი', **ვაზი** 'ყურძნის მტევანი', **თოჯი** 'თოხი', **ხირიხ** 'ხერხი', **წარაქი** 'წერაქვი', **ზეკუ** 'სოკო', **შუნდი** 'შვინდი', **ჭანჭულ** 'ჭანჭური', **ცეკე** 'ციკანი', **მამალაჲ** 'მამალი' და მისთ.

ნასესხები ლექსიკა შემთვისებელ ენაში სხვადასხვაგვარად იცვლება, ვინაიდან მსესხებელი ენის თავისებურებებს უნდა მიესადაგოს. სათანადო სიტყვა-ფორმები წყარო-ენის ნიშან-თვისებებსაც მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ და მსესხებელი ენის ბუნებასაც შეეთვისებიან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქართული ენიდან სხვადასხვა დროს ნასესხები ლექსიკური მასალა შემდეგნაირად იცვლება და ადაპტირდება:

1. **ფონოტაქტიკური ადაპტაცია.** ჰინუხური ენის ფონოტაქტიკური წესები მეტ-ნაკლებად განსხვავდება ახლომონათესავე დიდოური ენებისაგან [ლომთაძე 1963: 18-27; ფორკერი 2013: 34-38]. ნასესხობებისათვის დამახასიათებელია შემდეგი მოვლენები: ა) ლაბიალიზებულ კომპლექსში იშვიათად იკარგვის ლაბიალური კომპონენტი **ვ** (ჟ): **ბეზხი** (<ქართ. ვეფხვი) 'ავაზა', **ნესი** (<ქართ. ნესვი) 'ნესვი'...; ბ) არაბუნებრივი კომპლექსები მოდიფიცირდება: **ბკ>ბქ**: **დუბქა** (<ქართ. იუბკა) 'იუბკა'; **სხ>ხს**: **მასხარა** (<ქართ. მასხარა) 'ხუმრობა, დაცინვა'; **რცხ>რც**: **ფარცი** (<ქართ. ფარცხი) 'ფარცხი'; გ) ჰიატუსის დაძლევა ხდება ინტერვოკალურ პოზიციაში, ან ხმოვანთა მეზობლად **ჲ** და **ჟ** სონანტებისა და **ჭ** სპირანტის ჩართვით: **მარალ**//**მარალი** 'იარალი', ყავურმა 'ყაურმა', **ბეგაჟულ** (<ქართ. ბოქაჟულ-ი) 1. 'ბოქაჟული', 2. 'აულის ადმინისტრატორი', ჟამაჟათ (<ქართ. ჯამათი) 'თემი'; დ) თანხმოვანთა თავყრა ანლაუტში ხმოვნის დართვითაც დაიძლევა: **ისტოლი** (<ქართ. სტოლი <რუს. **стой**); ე) თანხმოვანთა არაორდინალური ჯგუფები შეიძლება ხმოვანთა (**ა, ე, უ...**) ჩართვით დაიძლიოს: **კარამეტი** (<ქართ. **კრამიტი**) 'კრამიტი', **ნავუთი** (<ქართ. **ნავთი**) 'ნავთი', **წინილი** (<ქართ. **მწნილი**) 'მწნილი (კომბოსტოსა)' და მისთ.

2. ფონეტიკური ადაპტაცია. 1) ხმოვანთა სუბსტიტუცია, რაც არაიშვიათად ასიმილაციურ-დისიმილაციური პროცესებით არის შეპირობებული:

- (ა) ა>ი: თუთი < 'თუთა'³;
 ააო: ოთოხი < 'ოთახი', ინდოვრი < 'ინდაური', კობოჲ (< ქართ. კაბაჲ) 'ზედატანი'...;
 (ბ) ე>ა: აბრაშუნ < 'აბრეშუმი', წარაქი < 'წერაქვი', ჩაქმაჲ < 'ჩექმა', ნაკილა//ნიკილა < 'ნეკა (თითი)', ზადთუნ < 'ზეითუნი'...;
 ე>ი: ვილი (< ქართ. ველი) 'საქართველო', გიმუ < 'გემო', წურბილა < 'წურბელა'...;
 ე>ო: ზოზო < 'ძეძვი'...;
 ე>უ: კუნული < 'კუნელი'...;
 (გ) ი>ო: ზოზო < 'ძეძვი'...;
 ი>უ: ქაჭუ < 'ქავი', ზაბრუ < 'ძაბრი', კეჩუ (< ქართ. კიჭი) 'კბილი'...;
 (დ) ო>ე: ბეგავულ < 'ბოქაული', ზეკუ < 'სოკო'...;
 ო>უ: გათუჴნა < 'გათოხნა', გიმუ < 'გემო', ქუსა < 'ქოსა', თუბი < 'თოფი', ითუ < 'უთო', ზეკუ < 'სოკო', ძურღა//ძორღა < 'იორღა'...;
 (ე) უ>ა: ფარდალა < 'ფარდული', წაწარაქი < 'წუწურაქი'...;
 უ>ო: ქობორე (< ხევს. ჴუმბურა) 'ხვიმირი', ფოჩოჩი < 'ფუჩეჩი' და სხვ.

2) ქართულ-ჰინუხურ ლექსიკურ შეხვედრებში თავს იჩენს თანხმოვანთა სხვადასხვაგვარი ცვლილებანი:

(ა) სუბსტიტუცია: ფ:ზ: ქართ. ვეფხვი > ჰინ. ბეზხი...; ბ:მ: ქართ. ბატი > ჰინ. მატი...; ქ:გ: ქართ. ბოქაული > ჰინ. ბეგავულ...; გ:ქ: ქართ. ზეგ > ჰინ. ზექ 'ხვალ'...; ნ:მ: ქართ. ზურნა > ჰინ. ზურმა...; კ:გ: ქართ. კანაფი > ჰინ. განაზი 'მაგარი თოკი' და ა. შ.

(ბ) აბრუპტივიზაცია: დ>ტ: ქართ. წინდა > ჰინ. წინტა; თ>ტ: ქართ. სასთაული > ჰინ. სასტური 'ზალიში'; ქ>კ: ქართ. ქოხი > ჰინ. კოხი და მისთ.

(გ) სპირანტიზაცია: ჰინუხური ენა მჟღერ აფრიკატებს მოკლებულია, ამიტომ ნასესხებ მასალაში შესაბამისი აფრიკატები სათანადო სპირანტებით იცვლებიან (ძ>ზ, ჴ>ქ) (ლომთაძე 1963: 40; იმნაიშვილი 1963: 36-37): ქართ. ბოძი > ჰინ. ბოზი 'ხეივნის საყრდენი', ქართ. მანძილი > ჰინ. მანზილ 'შუალედი', ქართ. ღანძილი > ჰინ. ღანზილ//ღანწილ, ქართ. ჯანლი - ჰინ. ჟანლი, ქართ. ჯეირანი - ჰინ. ჟაირან და სხვ.

(დ) დეზაბრუპტივიზაცია: ტ>თ: ქართ. ტიფი > ჰინ. თიფი; ჴ>ც: ქართ. კიჭი > ჰინ. კიცუ 'კბილი' და ა. შ.

(დ) ტრანსპოზიცია: ქართ. ქექვა > ჰინ. ქექვა>//ქვექა 'ფხანა, ქექება', ქართ. მასხარა > ჰინ. მახსარა 'ხუმრობა, დაცინვა', ქართ. კრამიტი > ჰინ. კარამეტი >//კამარტი და სხვ.

3. მორფოლოგიური ადაპტაცია. მორფოლოგიური ათვისება-ასახვის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს თავისებურებანი გრამატიკულ კლასში, რიცხვსა და ბრუნებაში. ქართულიდან ნასესხებ სახელთა უმრავლესობა უსულო არსებით სახელებს განეკუთვნება, ამდენად, თუ გადატანით ადამიანის თვისებები არ მიეწერება, მესამე და მეოთხე კლასში არიან წარმოდგენილი. საილუსტრაციო მაგალითები:

ტაბულა 1

I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.
ღურდელი 'მღვდელი'	ღებარი 'მღებარი'	ბურღუ 'ბურღი'	ზეთი 'ზეთი'
ბეგავულ 'ბოქაული'	ზიკუ 'ფეთხუმი (ადამიანი)'	ღალაჲ 'კალა'	ღანზილ 'ღანძილი'

ბულა ფიგ. 'მამაცი კაცი'		ბულა 'ბულა'	ნაჟაჯი 'ხელცულა'

ჰინუხურში შესული ქართველიზმები მრავლობით რიცხვში, როგორც წესი, -ბე ნიშანს დაირთავენ, რომლის წინ ფუძისეული ხმოვანი შეიძლება იშვიათად კიდევ მოიკვეცოს, მაგ.: ცეკე 'ციკანი' - მრ. ცეკ-ბე.

რაც შეეხება ბრუნებას, შეთვისებული სახელები ძირითადად ძირეული სახელების ანალოგიურად იბრუნვიან.

4. **სემანტიკური ტრანსფორმაცია.** სემანტიკური გადახრა-გადააზრიანების მიხედვით, ნასესხებ სახელებს ძირითადად ორი სახის ცვლილება მოუდის: ა) **ეტიმონის მნიშვნელობის დავიწროება**, ბ) **ეტიმონის მნიშვნელობის გაფართოება**, მაგ.: ა): ქართ. ჭაჭა 1. 'გამოსახდელი მასალა', 2. 'ალკოჰოლიანი სასმელი' > ჰინ. ჭაჭა 'თვითნახადი არაყი', ბ): ქართ. ბურღი > ჰინ. ბურღუ 1. 'ბურღი'; 2. 'ხრახნი' და ა. შ.

საინტერესო ჩანს ზოგი ლექსემის მნიშვნელობა, რაც სემანტიკურ გადახრა-გადაწევაში მჟღავნდება, მაგ.: ხუნძ. ხინკ-ალ (მრ. ხინკლები) > ქართ. ხინკალი > ჰინ. ხინკალ 1. 'გარზანა'. 2. 'ხინკალი', ქართ. ღიპი > ჰინ. ღიპი 'ლოხი (ადამიანი)', ქართ. ხარჯი > ჰინ. ხარჟი 1. 'ხელფასი'. 2. 'ხარჯი, დახარჯვა', ქართ. ჩარხი > ჰინ. ჩარხი 'ქასური, სალესი ქვა' და სხვ.

დასკვნა

ამრიგად, ქართულისაგან ნასესხები ლექსიკა ჰინუხურ ენაში, როგორც წესი, წყარო-ენის ნიშან-თვისებებსაც მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს და მსესხებელი ენის ბუნებასაც აირეკლავს. ბგერათცვლილებათა კანონზომიერებანი თვალნათლივ წარმოჩნდება ფონოტაქტიკური და ფონეტიკური ანალიზის საფუძველზე. რაც შეეხება მორფოლოგიურ ათვისება-ასახვას, ყურადღებას იქცევს თავისებურებანი გრამატიკულ კლასსა და რიცხვში. რაც შეეხება ბრუნებას, შეთვისებული სახელები, როგორც წესი, ძირეული სახელების ანალოგიურად იბრუნვიან. სემანტიკური ტრანსფორმაციის მიხედვით, ნასესხობებს ძირითადად ორი სახის ცვლილება მოუდის: ა) **ეტიმონის მნიშვნელობის დავიწროება**, ბ) **ეტიმონის მნიშვნელობის გაფართოება**.

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: **FR-24-10850**).

² ქრისტიანული ტერმინოლოგიის შეთვისება XIV ს.-ის შემდეგ ნაკლებსავარაუდოა.

³³ ჯერ მოყვანილია ჰინუხური ფორმა, შემდეგ კი - ქართული.

ლიტერატურა

ბოკარევი 1959: Бокарев Евгений Алексеевич. Цезские (дидойские) языки Дагестана. Москва: Издательство АН СССР, 1959.

გუდავა 1954: ტუგო გუდავა. ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ. სმამ. ტ. XV, N10, გვ. 701-708. თბილისი: 1954.

ზვიადაური 1997: ნოდარ ზვიადაური (არდოტელი). ნახურ-დაღესტნურ ენათა ლექსიკა ქარ-

თული ენის მთის დიალექტებში: ეტიმოლოგიური ძიებანი, ტ. VI, გვ. 96-103. თბილისი: 'მეცნიერება', 1997.

იმნაიშვილი 1963: Имнайшвили Давид Сильвестрович. Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Тбилиси: Издательство АН ГССР, 1963.

ლომთაძე 1963: Ломтадзе Элизбар Андреевич. Гинухский диалект дидойского языка. Тбилиси: Издательство АН ГССР, 1963.

ფორკერი 2013: Forker, Diana. A Grammer of Hinuq. Leipzig: 2013.

ჩიქობავა 1987: არნოლდ ჩიქობავა. ახო და ვაჟი სიტყვების ეტიმოლოგიისათვის: ეტიმოლოგიური ძიებანი, გვ. 7-11. თბილისი: 'მეცნიერება', 1987.

ხალილოვი 2004: Халилов Маджид Шарипович. Грузинско-дагестанские языковые контакты. Москва: Издательство 'Наука', 2004.